



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ბრძანება N 213/2

2018 წლის 30 ნოემბერი ქ. თბილისი

ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის  
შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63 მუხლის,

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის № 05/91 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-20 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნეს სწორება სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 12 ნოემბრის № 200/2 ბრძანების № 3 პუნქტში, № 4 პუნქტის „გ“; „ე“ ქვეპუნქტებში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
2. 2018 წლის 12 ნოემბრიდან გამოცხადდეს სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამის და სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელების არჩევნები;

3. დაევალოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, შეარჩიოს სათანადო კომპეტენციის კანდიდატურები შესაბამისი ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის პოზიციაზე წარსადგენად.

• ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

ა. ფლობდეს დოქტორის აკადემიურ ხარისხს, ეკავოს პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობა;

ბ. სახელოვნებო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჰქონდეს არანაკლებ 6 წლის მუშაობის გამოცდილება;

გ. გააჩნდეს თანამედროვე საგანმანათლებლო კანონმდებლობის, აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სტანდარტების, შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ცოდნა, ერკვეოდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს სტრუქტურაში და მოთხოვნებში;

დ. გააჩნდეს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობის გამოცდილება;

#### 4. კანდიდატმა აუცილებელია წარმოადგინოს:

ა. მოკლე ბიოგრაფიული ინფორმაცია

ბ. დოქტორის სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი

გ. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინება

დ. საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო-პედაგოგიური დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი

ე. ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებული სხვა სახის საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

5. ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელების მსურველი კანდიდატების რეგისტრაცია ჩატარდეს ფაკულტეტებზე.

6. კანდიდატების რეგისტრაცია დაიწყოს 2018 წლის 11 დეკემბრიდან და დასრულდეს 2018 წლის 20 დეკემბერს.

7. კანდიდატთა რეგისტრაცია (რეგისტრაციის ადგილი, ფორმატი) და კენჭისყრის თარიღი დადგინდეს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ.
8. ინფორმაცია არჩევნების გამოცხადების შესახებ განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე [www.tafu.edu.ge](http://www.tafu.edu.ge).
9. ბრძანების შესრულებაზე პასუხისმგებლობა დაევალოს ფაკულტეტების საბჭოს.
10. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საორგანიზაციო სამსახურს.
11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ № 6.

საფუძველი: საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს

სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურის დებულების მე-2

მუხლის (პუნქტი 8. გ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

უფროსის მ. შ. ა. სამსონაძის მოხსენებითი ბარათი.

რ ე ქ ტ ო რ ი

გიორგი მარგველაშვილი